Kaspi Municipality Preschool Institution Union

Digitally signed by Kaspi Municipality Preschool Institution Union
Date: 2019.03.22 14:07:25 +04'00'

Vano Amiranashvili

Подписано цифровой подписью: Vano Amiranashvili
Дата: 2019.03.22 14:21:33 +04'00'

ხელშეკრულება №29

კასპი **22.03.2019 წელი**

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება, შემდგომში `შემსყიდველად~ წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის, მანანა ხვთისიაშვილის სახით, რომელიც მოქმედებს დებულების საფუძველზე ერთის მხრივ და მეორეს მხრივ შპს. ,,VTM" შემდგომში ,,მომწოდებლად" წოდებული დირექტორი ვანო ამირანაშვილის სახით, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, შპს. ,,VTM"-იმ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას" სოფელ ლამისყანის საბავშვო ბაღისთვის მოაწოდოს გამწოვი კარადა (ზომა:600 X486 X210;წონა:7კგ;სიმძლ:194კვტ;გაწ.წარმ:210მ3/სთ).
ხოლო, სოფ.გრაკალის საბავშვო ბაღისთვის
ელ.წყლის გამაცხელებელი (ზომა:450X553X480მმ;მოც:50ლ;წონა:17კგ;სიმძლ:1,8კვტ).

2. შესრულებული სამუშაოს ვადები და ღირებულება

2.1. საქონლის შეძენა ხორციელდება ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.
2.2. მთლიანი ღირებულება შეადგენს 650 (ექვსას ორმოცდაათი)ლარს.ყველა თანმდევი ხარჯის გათვალისწინებით.
2.3 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება სასაქონლო ზედნადების,საგადასახადო ანგარიშ ფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე,რომელიც დასტურდება ორივე მხარის ხელმოწერით.
2.4 მოწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
3.2 ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში (ლარი) გადარიცხვით
3.3 ანგარიშსწორება წარმოებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მითითებული რვანიშნა კოდით: 39700000 (39715100;39714000).
3.4 ანგარიშსწორება მოხდება გადარიცხვით არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.
3.5 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოახდინოს ანგარიშსწორება ნაწილობრივ.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. ,,შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
4.2. გადაუხადოს ,,მომწოდებელს" საქონლის ღირებულება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში .
4.3. ,,მომწოდებელს"უფლება აქვს:
4.4. მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით დათვალისწინებული პირობებით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულებით შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

6.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მოწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება ,რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით დათვალისწინებულ პირობებთან და შესყიდვის მოთხოვნებთან.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 1 მაისამდე.

8. ზოგადი დებულებები

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

8.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10. დავათა განხილვის წესი.

10.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

,,შემსყიდველი~

,,კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება;
მისამართი: კასპი, საკაძის ქ. #68
ს/კ 232559781
ტელ: 577 16 70 05
ელ.ფოსტა:Kaspi.sabavshvobagebi@mail.ru

დირექტორი: მანანა ხვთისიაშვილი

„მომწოდებელი"
შპს. ,,VTM"
ს/კ404988527
მისამართი: კასპი დ.აღმაშენებლის ქ.#4
საბანკო რეკვიზიტები:
სს ,,საქართველოს ბანკი" BAGAGE22
ა/ნ GE48BG0000000324162500
ტელ: 574 110438
ელ.ფოსტა:vamiranashvili@gmail.com

დირექტორი:ვანო ამირანაშვილი